პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

28/09/2026

MES 7 26 0001333932

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 14 სექტემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85758107326
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:
ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ სულთანიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
თინათინ მეფარიშვილი
ჯილდა აბაშიძე
დემეტრე დემეტრაშვილი
ქეთევან ღვანიძე
ნანა ვერულაშვილი
თეა ნარეკლიშვილი
გიორგი წიკლაური

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია
დირექტორი – ირმა ადეიშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი – ლია ფარტენაძე
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი – ხათუნა ადეიშვილი
პროფესიული განათლების ექსპერტი – ნატალია ბარათელი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი

განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და მათ გააცნო ვიზიტის სამართლებრივი საფუძვლები და მიზნობრიობა - იურიდიული პირის მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება. აღინიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 7 ივლისის N879059 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების (მისამართი: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N53) შესაბამისობა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებთან. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა 2026 წლის 15, 16 და 17 ივლისს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის საფუძველზე შეხვედრები გაიმართა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პედაგოგებთან, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულებას აცნობდა გამოკვეთილ მიგნებებს.

სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზისას აღინიშნა, რომ პირველი და მესამე სტანდარტები შეფასდა როგორც შესაბამისი. მეოთხე სტანდარტის ფარგლებში თავდაპირველად გამოვლინდა ხარვეზები, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, შეფასება შეიცვალა მეტწილ შესაბამისობამდე. მეხუთე სტანდარტთან მიმართებით კი დაწესებულებას თავიდანვე წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ასევე აღინიშნა, რომ ადგილზე ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისობის გეგმაში დირექტორის ბრძანებით შეტანილი ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რაც აქტივობების დასრულების თარიღების დაზუსტებას უკავშირდებოდა.

მეხუთე სტანდარტის ინდიკატორებთან დაკავშირებით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაზე საუბრისას, ექსპერტმა განმარტა, რომ 5.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ფართში არ იყო სრულყოფილად დაცული უსაფრთხოების ნორმები, კერძოდ, არ მოიპოვებოდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებისა და კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნები. აღნიშნული დოკუმენტაციის, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად მოსამზადებლად, დაწესებულებამ განსაზღვრა 6-თვიანი ვადა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა რელევანტურ და საკმარის პერიოდად; ამასთან, ვიზიტის მიმდინარეობისას ადგილზე უკვე შეიმჩნეოდა შესაბამისი კომპანიის მიერ სამუშაოების სატესტო რეჟიმში დაწყების პროცესი. ანალოგიურად, 6-თვიანი ვადა განისაზღვრა 5.1.2.3 ინდიკატორთან (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სრულყოფა) და 5.2.2.2 ინდიკატორთან (ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, მათ შორის eflow-ს დანერგვა) მიმართებით, სადაც შესაბამის უწყებებთან უკვე მიმდინარეობდა ოფიციალური მიმოწერა და სამუშაო კომუნიკაცია, რაც, ექსპერტთა შეფასებით, რეალურ შესაძლებლობას იძლევა ხარვეზების სრულად აღმოსაფხვრელად.

პროგრამულ ნაწილში ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პედაგოგის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ოთხ საკვანძო პარალელურ მოდულს, ასევე შრომის უსაფრთხოების პროგრამას უძღვებოდა ერთი და იგივე პირი, რომელიც იმავდროულად იკავებდა სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ პოზიციას. მართალია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზმა აჩვენა, რომ საათობრივი გადაცდენა ან მოდულების პირდაპირი კვეთა არ ფიქსირდებოდა და საკითხი ხარვეზად არ შეფასდა, თუმცა ადმინისტრაციული ფუნქციების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დამატებითი კადრის მოზიდვის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა და შინაგანაწესში ცვლილების შეტანით დაარეგულირა სამუშაო სესიებისა და დასვენების დროის განაწილება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციურ და პროგრამულ ჭრილში ჯამურად გამოვლენილი 13 ხარვეზის აღმოსაფხვრელად, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, შეიმუშავა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ცენტრში წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, რისკების შეფასება და დაფინანსების წყაროები. ექსპერტთა ჯგუფმა, დარგობრივ ექსპერტებთან ერთობლივი მსჯელობისა და რისკების გაანალიზების საფუძველზე, წარმოდგენილი გეგმა და მასში ასახული ვადები მიიჩნია სრულად რელევანტურად, რის გამოც აღნიშნული ხარვეზების შეფასება შეიცვალა და განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობად.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, მათ შორის ადმინისტრაციულ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც მიუთითებდა ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით სამუშაოების დაწყებაზე. თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება უშუალოდ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც ექსპერტებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება, დასკვნის მომზადების ეტაპზე შინაარსობრივად და ხარისხობრივად შეეფასებინათ აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაცია ან შეეცვალათ ვიზიტისას არსებული მდგომარეობა. ამის მიუხედავად, დაწესებულების მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებისა და წარმოდგენილი 6-თვიანი ვადის რელევანტურობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შესაძლებლად მიიჩნია გამოვლენილი 13 ხარვეზის მეტწილ შესაბამისობაში გადაყვანა.

მეოთხე სტანდარტის ფარგლებში გამოვლენილი ინსტიტუციური ხარვეზების დეტალური განხილვისას, ექსპერტმა პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა 4.1.1.1 ინდიკატორზე. შემოწმებისას დადგინდა, რომ აკადემიის სტრუქტურისა და სამუშაო აღწერილობების მიხედვით, თანამშრომელთა ნაწილის ფუნქცია-მოვალეობები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ იყო გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა, ხოლო გასაუბრებისას დირექტორმა და თავად სპეციალისტმა დაადასტურეს, რომ პირი არ იმყოფებოდა ძირითად საშტატო ერთეულზე. ამასთან, დებულებითა და სამუშაო აღწერილობებით არ იყო განსაზღვრული სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქციებიც. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 6 თვე, რა ვადაშიც დაიგეგმა ცვლილებების შეტანა აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, საშტატო განრიგსა და სამუშაო აღწერილობებში სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნის მიზნით, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მისაღებად.

4.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით ხარვეზი დაფიქსირდა დამხმარე პროცესების არაჯეროვან დელეგირებაში. კერძოდ, სამუშაო აღწერილობებით სასწავლო პროცესის მენეჯერს დაკისრებული ჰქონდა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების ორგანიზება, მაშინ როდესაც ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებში ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა საერთოდ არ ფიგურირებდა. ამავდროულად, დებულების დონეზე კვლავ არ იყო გაწერილი სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობები. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ 6-თვიანი ვადით აიღო ვალდებულება, განახორციელოს ცვლილებები დებულებასა და სტრუქტურაში პასუხისმგებლობათა ეფექტიანი გადანაწილების უზრუნველსაყოფად, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

4.1.1.3 ინდიკატორის შეფასებისას გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის რისკი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, რადგან ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესებზე

პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული იყო სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც ხარისხის მართვის მენეჯერთან ფუნქციურ გადაკვეთას ქმნიდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია სტრუქტურაში, დებულებასა და სამუშაო აღწერილობებში ცვლილებების შეტანა 6 თვის ვადაში, რითაც გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირსა და სხვა რგოლებს შორის. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა აღნიშნული აქტივობა და განსაზღვრული ვადები.

4.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში შეუსაბამობა დაფიქსირდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მოთხოვნებთან (ხელშეკრულების შინაარსი, არსებითი პირობები, თანამდებობა, რანგი, სამუშაოს აღწერილობა). დაწესებულების იურისტმა დაადასტურა აღნიშნული ხარვეზი და გამოთქვა მზადყოფნა დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. ამასთან, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები ფორმდებოდა მხოლოდ 1 წლის ვადით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული იყო მომსახურების ხელშეკრულება, რაც ექსპერტთა შეფასებით ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას ავტორიზაციის მთელი ვადით. ვინაიდან დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით აიღო ვალდებულება სახელშეკრულებო პირობების გამოსწორებაზე და დასკვნის პროექტის საპასუხოდ მტკიცებულებებიც წარმოადგინა, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაგეგმილი აქტივობები და ვადები.

პერსონალის პირად საქმეებთან დაკავშირებით (ინდიკატორი 4.1.2.2) ექსპერტმა აღნიშნა, რომ რიგი მასწავლებლების პირად საქმეებში არ მოიპოვებოდა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცნობები, რაც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის დასაქმებისათვის. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 6-თვიანი ვადა ყველა მასწავლებლის პირადი საქმის სრულყოფილად მოსაწესრიგებლად და საპასუხო მასალებში წარმოადგინა კიდეც მოპოვებული ცნობების ნაწილი, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში.

მეოთხე სტანდარტის ბოლო ხარვეზი ეხებოდა პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სადაც დაკავებული თანამდებობა და სამუშაო აღწერილობა საჭიროებდა კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანას. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა შენიშვნას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აიღო 6-თვიანი ვალდებულება სამუშაო აღწერილობებში ცვლილებების შესატანად, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა საკმარის და რელევანტურ ზომად.

მეხუთე სტანდარტთან (მატერიალური რესურსი) მიმართებით გამოვლენილ შეუსაბამობებზე საუბრისას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებისას დაფიქსირდა სანიტარული კვანძების შეუსაბამობა მოქმედ რეგულაციებთან. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის („შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების სტანდარტების დარღვევით, კარის ღიობი იყო 90 სანტიმეტრზე ნაკლები, რაც შეუძლებელს ხდიდა ეტლით მოსარგებლე პირთა დამოუკიდებელ გადაადგილებასა და სველი წერტილებით შეუფერხებელ სარგებლობას. დაწესებულების ხელმძღვანელობამ სრულად გაიზიარა აღნიშნული ხარვეზი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აიღო ვალდებულება, 6 თვის

ვადაში მოახდინოს კარის ღიობისა და სანიტარული კვანძის რეკონსტრუქცია დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა რელევანტურ ვადად.

5.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინდივიდუალური სასწავლო აუდიტორიებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, შენობაში არ მოიპოვებოდა სტუდენტთა საერთო სარგებლობის სივრცეები სპორტული, შემოქმედებითი და არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. ადმინისტრაციამ დაადასტურა აღნიშნული ინფრასტრუქტურის დეფიციტი და წარმოადგინა ფართი, სადაც იგეგმებოდა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. ვინაიდან მხოლოდ სამომავლო გეგმები ვერ ჩაითვლებოდა სტანდარტის დაკმაყოფილებად, საკითხი შეფასდა ხარვეზად. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი 6-თვიანი ვადა საერთო სივრცეების მოწყობისა და გამოყოფისათვის ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია საკმარისად და რეალისტურად, რის გამოც ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაში გადავიდა.

პროგრამულ ნაწილზე გადასვლისას, თავმჯდომარემ განმარტა, რომ ყველა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საერთო ხასიათის ხარვეზს წარმოადგენდა 2.2.1.6 ინდიკატორი (ინკლუზიური განათლების გარემო და შეთავაზებული სერვისების ხელმისაწვდომობა), რაც დაკავშირებული იყო შშმ პირთათვის სველი წერტილებისა და კარის თავისუფალი ღიობების მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობასთან. ამასთან, ყველა პროგრამაზე ვრცელდებოდა პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარვეზი (მეოთხე სტანდარტი), რაც პროგრამების მდგრად განხორციელებას უქმნიდა საფრთხეს. დაწესებულებამ ორივე მიმართულებით სრულად აღიარა ნაკლოვანებები და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ 6-თვიან ვადაში აიღო მათი გამოსწორების ვალდებულება, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში გამოვლენილ სპეციფიკურ გარემოებებთან დაკავშირებით აღინიშნა შემდეგი:

სკოლამდელი განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინდიკატორი 2.2.1.3) მოდულის – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ – განმახორციელებელ პირს გააჩნდა მხოლოდ სკოლამდელ დაწესებულებაში მუსიკის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, რაც ვერ აკმაყოფილებდა სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სპეციალური განათლების, ინკლუზიური განათლების ან ფსიქოლოგიის მიმართულებით. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით აიღო ვალდებულება შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მოზიდვაზე, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამაზე ბიბლიოთეკის შემოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში არ მოიპოვებოდა პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. დარგობრივი ექსპერტის მიერ მითითებული სახელმძღვანელოების შესაძენად და ბიბლიოთეკის შესავსებად დაწესებულებამ განსაზღვრა 6-თვიანი ვადა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა რელევანტურად. ამავე პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო აუდიტორია და პრაქტიკის ობიექტი შეფასდა დადებითად, ხოლო მოთხოვნილი სტუდენტური ადგილი მიჩნეულ იქნა პროგრამის გამტარუნარიანობასთან შესაბამისად.

საბაჟო საქმის პროგრამაზე (ინდიკატორი 2.2.1.1) გამოვლინდა ორი ძირითადი გამოწვევა: პირველი ეხებოდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – „E-customs“-ის სატესტო სერვერის არარსებობას, რომლის ინსტალაციაზეც დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკებები შემოსავლების სამსახურთან და შემდგომ წარადგინა კიდეც ხელშეკრულება, რაც ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც პოზიტიური ნაბიჯი. მეორე და ძირითადი პრობლემა უკავშირდებოდა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასა და პრაქტიკის ობიექტის სიმძლავრეს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყო 60 სტუდენტური ადგილი, თუმცა ადგილზე არსებულ ერთადერთ პარტნიორ ორგანიზაციას (შპს „ნოვა“) ფართის სიმცირის გამო რეალურად მხოლოდ 10 სტუდენტის მიღება შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის შემდგომ წარმოადგინა შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული შეთანხმება დამატებით პრაქტიკის ბაზად განსაზღვრის თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ წარდგენილი ახალი მტკიცებულებების გათვალისწინების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა რეალური გამტარუნარიანობის (10 სტუდენტი) შესაბამისად, ხოლო საბოლოო ქვოტის განსაზღვრის საკითხი მიენდო საბჭოს გადაწყვეტილებას.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სპეციალიზებული ლაბორატორია, სასწავლო აუდიტორია და საჩვენებელი სააფთიაქო კუთხე სრულად შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. პრაქტიკის ობიექტთან (სს „პსპ ფარმა“) გასაუბრების შედეგად დადასტურდა პარტნიორი ორგანიზაციის სრული მზაობა სტუდენტთა ნაკადის მისაღებად. პედაგოგთა და პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეფასდა მაღალ დონეზე, რის გამოც მოთხოვნილი სტუდენტური ადგილების რაოდენობა სრულად იქნა გაზიარებული.

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე შემოწმდა კომპიუტერული ტექნიკა და დარგობრივი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღმოჩნდა სრულად გამართული და სამუშაო მდგომარეობაში. პროგრამის ხელმძღვანელისა და პედაგოგების კვალიფიკაცია, აგრეთვე სასწავლო რესურსები და სტუდენტთა გამტარუნარიანობის გეგმა სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან, რის გამოც პროგრამაზე რაიმე ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ექსპერტმა თინათინ მეფარიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის (დაცვის ოთახი, სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და სანიტარული კვანძები) ამსახველი ფოტომასალა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზების მეტწილ შესაბამისობაში გადაყვანა განაპირობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა არგუმენტირებულმა პოზიციამ და შესაბამისობის უზრუნველყოფის რეალისტურმა 6-თვიანმა გეგმამ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული მუშაობისა და წარმოდგენილი პრეზენტაციისათვის, რის შემდეგაც საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა კითხვები.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და ითხოვა განმარტება როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ ჭრილში. კერძოდ, დაინტერესდა, თუ რით განსხვავდება შპს „ბათუმის პროფესიული აკადემია“ რეგიონში უკვე მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან, სწავლების რა განსხვავებულ მეთოდოლოგიას ან ტექნოლოგიას სთავაზობს ადგილობრივ შრომის ბაზარს, რამდენად

წარმოადგენს წარმოდგენილი პროგრამები რეგიონში არსებული შეთავაზებების პროგრამების დუბლირებას და როგორ აპირებს დაწესებულება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და სტუდენტთა მოზიდვას.

დაწესებულების სახელით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულმა პროფესიული განათლების ექსპერტმა, ნატალია ბარათელმა, განმარტა, რომ ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად არის შემუშავებული, მათი შინაარსობრივი დიფერენცირება რთულია. მისი თქმით, დაწესებულების მთავარ ძლიერ მხარესა და კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი, გამართული ინფრასტრუქტურა და მაღალი რეპუტაციის მქონე ბიზნესპარტნიორებთან გაფორმებული თანამშრომლობა. ნატალია ბარათელმა ხაზი გაუსვა აჭარის რეგიონის ეკონომიკურ ზრდას და აღნიშნა, რომ ფარმაციის, საბაჟო საქმის, სკოლამდელი განათლების, შრომის უსაფრთხოებისა და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებებზე ადგილობრივ ბაზარზე არსებობს მაღალი მოთხოვნა, რამაც განაპირობა კიდეც აღნიშნული პროგრამების შერჩევა.

საბჭოს მდივანმა დააზუსტა შეკითხვა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პასუხი ვერ ასახავს აკადემიის სპეციფიკურ ნიშას, ხოლო ადამიანური რესურსის ნაწილში ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებული ხარვეზების ფონზე პერსონალის განსაკუთრებულ უპირატესობად დასახელება დამატებით კითხვებს აჩენს. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სტანდარტის საბაზისო მოთხოვნაა და არა გამორჩეული მახასიათებელი. საპასუხოდ ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ პროფესიულ განათლებაში პროგრამების რეგიონული დუბლირების შემზღუდველი რეგულაცია არ მოქმედებს და დაწესებულების ხარისხს დრო და მონიტორინგის პროცესი გამოაჩენს. მან აგრეთვე დასძინა, რომ ავტორიზაციის მიღების შემდგომ, 2026 წლის 30 ნოემბრისთვის, დაგეგმილია დამსაქმებელთა კომიტეტის შექმნა და სათანადო წესდების ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს დარგის წარმომადგენელთა სიღრმისეულ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საკითხის დაზუსტების მიზნით დისკუსიაში ჩაერთო საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა პირველი სტანდარტის 1.1.1.2 ინდიკატორის იმპერატიულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც დაწესებულების მისიით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი პროფილი, მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რაც განასხვავებს მას სხვა პროვაიდერებისაგან. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკადემიის დამტკიცებულ მისიაში („აჭარის რეგიონზე მორგებული და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება“) საერთოდ არ იკვეთება დაწესებულების პროფილი – არის იგი მონოპროფილური თუ მრავალპროფილური.

ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დაწესებულება თავისი არსით მრავალპროფილურია. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისია არ წარმოადგენს უცვლელ დოკუმენტს და დაწესებულება იზიარებს საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნას, რის საფუძველზეც დამსაქმებელთა კომიტეტის ჩართულობით განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები როგორც მისიაში, ისე სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში პროფილის მკაფიოდ ასახვის მიზნით.

დისკუსია გაგრძელდა პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების მისიის შესაბამისობის ირგვლივ. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისიაში საგანმანათლებლო საქმიანობის პროფილის არარსებობა წარმოადგენს სტანდარტის პირდაპირ დარღვევას, ხოლო მომზადება-გადამზადების პროგრამების ზოგადი ხსენება ვერ

აკონკრეტებს, დაწესებულება მონოპროფილურია თუ მრავალპროფილური. ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ მისიაში გამოყენებული ისეთი ზოგადი ტერმინები, როგორიცაა „სპეციალისტების მომზადება“, „პოპულარიზაცია“ და „ხარისხზე ორიენტირებული სერვისი“, წარმოადგენს ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტულ ვალდებულებას და ვერ უზრუნველყოფს აკადემიის ინდივიდუალურ იდენტიფიცირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, განმარტა, რომ ვინაიდან პროფესიული პროგრამები ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტებით არის რეგულირებული, მისიაში გამორჩეული მახასიათებლების ასახვა სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით შემოქმედებითი მიმართულებების არარსებობის პირობებში. მისი შეფასებით, ბაზარზე ახლად შემოსული დაწესებულება თავშეკავებული უნდა იყოს ამბიციურ მიზნებთან მიმართებით, ხოლო მისიის, სტრატეგიული გეგმისა და ინოვაციური კომპონენტების დახვეწა და განვითარება ეტაპობრივად, პრაქტიკული საქმიანობისა და მონიტორინგის პროცესში მოხდება. საპასუხოდ, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ განმასხვავებელი ნიშანი არ მოითხოვს მაინცდამაინც შემოქმედებით პროფილს და იგი შეიძლება გამოიხატოს საერთაშორისო პარტნიორობით, სწავლების სპეციფიკური მეთოდებით ან სხვა უპირატესობით. თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი დაწესებულების ავტორიზაციისას საბჭო აფასებს არა სამომავლო დაპირებებს ან წარსულ გამოცდილებას, არამედ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამართულობასა და მათ სრულ შესაბამისობას სტანდარტის იმპერატიულ მოთხოვნებთან, რის გარეშეც სტატუსის მინიჭება ვერ განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, შეკითხვა დასვა ადამიანური რესურსის კვალიფიკაციასა და პროგრამის მდგრადობაზე. კერძოდ, მან აღინიშნა სკოლამდელი განათლების პროგრამის მოდულის – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ – განმახორციელებელი პედაგოგის კომპეტენცია, რომელსაც გააჩნდა მხოლოდ მუსიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია და აკლდა ინკლუზიური და სპეციალური განათლების მიმართულებით აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ასევე დაისვა საკითხი პერსონალის რაოდენობრივ უზრუნველყოფასა და ფორსმაჟორულ სიტუაციებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის გარანტიებზე. ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ ყველა მოდულზე წარმოდგენილია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც გამორიცხავს პროცესის შეფერხებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთწლიანი ხელშეკრულებების გაფორმების მიზეზად მან დაასახელა პროფესიული განათლების მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტის ამოქმედების მოლოდინი და აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 30 ნოემბერი) ყველა ხელშეკრულება შესაბამისობაში იქნება მოყვანილი მოქმედ და სამომავლო კანონმდებლობასთან.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, ყურადღება გაამახვილა დაწესებულების ფინანსურ მდგრადობაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აკადემიას უწევს მრავალი ფინანსურად ტევადი ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია სტუდენტთა ზღვრული ადგილების შემცირება. საბჭოს მდივანმა ითხოვა განმარტება, თუ რა გარანტიები არსებობს პირველ წლებში დაწესებულების სტაბილური ფუნქციონირებისათვის ადმინისტრაციული, პედაგოგიური და კომუნალური ხარჯების დასაფარად.

ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ დაწესებულება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სტუდენტთა ვაუჩერულ შემოსავლებზე და საწყის ეტაპზე ფინანსურ უზრუნველყოფას სრულად ახორციელებენ დამფუძნებლები, რაც შემოწმდა კიდეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბანკო ამონაწერებისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ სტრუქტურისა და დებულების მოწესრიგება ფინანსებს არ საჭიროებს, სტუდენტური

სივრცის სარემონტო სამუშაოები ფაქტობრივად დასრულებულია, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების ხარჯები უკვე სრულად არის ანაზღაურებული. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას, წარმომადგენელმა დააფიქსირა უთანხმოება ექსპერტთა დასკვნასთან საბაჟო საქმის პროგრამაზე ადგილების 10-მდე შემცირების თაობაზე და განმარტა, რომ შპს „ნოვაში“ იგულისხმებოდა 10 სტუდენტის ერთდროული მიღება ცვლების მიხედვით, ამასთანავე დაწესებულებამ დამატებით გააფორმა ხელშეკრულებები შემოსავლების სამსახურთან და ორ კერძო კომპანიასთან. შესაბამისად, საბჭოს მიერ კვოტის შესაძლო შემცირების პირობებშიც კი, დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება და დამფუძნებლები მზად არიან საჭიროებისამებრ სრულად დააფინანსონ აკადემიის საქმიანობა პირველი ერთი ან ორი წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს შიდა სამართლებრივი აქტების გამოცემის ქრონოლოგიურ და შინაარსობრივ აცდენებთან დაკავშირებით. კერძოდ, თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა არსებულ იურიდიულ შეუსაბამობაზე: დირექტორის №6 ბრძანებით 2026 წლის 26 მარტს დამტკიცდა 2026–2032 წლების სტრატეგიული და 2026 წლის სამოქმედო გეგმები, ხოლო მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების №5 ბრძანება გამოცემული იყო ორი თვის შემდეგ – 2026 წლის 12 მაისს. თავმჯდომარემ მოითხოვა იურიდიული ლოგიკის განმარტება, თუ რა სახელმძღვანელო დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მარტში, როდესაც მისია და ხედვა სამართლებრივად ჯერ დამტკიცებული არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, განმარტა, რომ მისია, ხედვა და სტრატეგია თავდაპირველად შემუშავებული იყო ერთობლივად, თუმცა შემდგომში, სტრატეგიული გეგმის ამბიციურობიდან გამომდინარე, მათში შევიდა ცვლილებები. მისივე თქმით, ხედვისა და მისიის თავდაპირველი დამტკიცება მოხდა 2026 წლის 12 მარტს, ხოლო სტრატეგიული გეგმისა – 26 მარტს, რასაც შემდგომ დამატებითი კორექტირება მოჰყვა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო მსჯელობს საქმისწარმოების ფარგლებში ოფიციალურად წარმოდგენილი აქტების საფუძველზე, რომლებშიც ქრონოლოგიური შეუსაბამობა ნათლად ფიქსირდება.

თავმჯდომარემ აგრეთვე მიუთითა შიდა ნორმატიულ კოლიზიაზე სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ვადებთან დაკავშირებით (ინდიკატორები 1.2.1.1 და 1.2.2.2). კერძოდ, დირექტორის №4 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის 5.3 პუნქტი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს ითვალისწინებს სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო №6 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის დანართის (მონიტორინგისა და შეფასების რუკა) მიხედვით, შეფასება უნდა განხორციელდეს ორ წელიწადში ერთხელ. კითხვაზე, თუ რომელი ვადით ხელმძღვანელობს დაწესებულება რეალურად, ნატალია ბარათელმა უპასუხა, რომ ძირითად ვადას წარმოადგენს სამი წელი, ხოლო დანართში დაფიქსირებული ორწლიანი პერიოდი ტექნიკური ხარვეზია და ბრძანებაში ცვლილების შეტანით გასწორდება.

დამატებით, ელენე კაკაბაძემ დასვა შეკითხვა ხედვისა და სტრატეგიული ციკლის ვადების ურთიერთაცდენაზე, ვინაიდან სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2026–2032 წლები), ხოლო ხედვის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2031 წელი, რაც ტოვებს გაურკვევლობას 2032 წლის სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით. ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ 2031 წელს იგეგმება ხედვის გადახედვა და ახალი ციკლის შემუშავება. მან ხაზი გაუსვა, რომ თავად დაწესებულების საქმიანობაში ივნისის თვიდან ჩაერთო, როდესაც აღნიშნული დოკუმენტაცია უკვე დამტკიცებული იყო, და გამოთქვა სრული მზადყოფნა, რომ აკადემია გაიზიარებს საბჭოსა და ექსპერტთა ყველა შენიშვნასა და

რეკომენდაციას ხარვეზების აღმოსაფხვრელად. თავმჯდომარემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ პირველადი ავტორიზაციის პროცესში პირველი სტანდარტის სრული დაცვა გადამწყვეტია და დოკუმენტური შეუსაბამობები ვერ დარეგულირდება შესაბამისობის გეგმის მეშვეობით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დაწესებულების წინაშე დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ვერ მოახერხა აკადემიამ საკუთარი რესურსების შეფასება და საავტორიზაციო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ექსპერტთა ვიზიტამდე, მაშინ როდესაც რიგი ხარვეზების (ადამიანური რესურსი, ბიბლიოთეკის ფონდი, შიდა ფუნქციების განაწილება) გამოსწორება დიდ ფინანსურ რესურსს არ მოითხოვდა და მათი მოწესრიგება ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გადავადდა. ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ დამწყები საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მსგავსი ხარვეზების არსებობა ბუნებრივია და აკადემიას გააჩნია სრული მზაობა მათი დაძლევისათვის. ნათია ბუთხუზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება წარმოადგენს უპირველეს წინაპირობას და საკითხი სწორედ დაწესებულების სამომავლო ფუნქციონირების მდგრადობას უკავშირდება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, შეკითხვით მიმართა აკადემიის ხელმძღვანელობას უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნა, რომ შენობის სახანძრო უსაფრთხოებისა და კონსტრუქციული მდგრადობის ექსპერტიზის დასკვნების არარსებობის პირობებში, როდესაც აღნიშნული საკითხი გატანილია ექვსთვიან შესაბამისობის გეგმაში, რა არგუმენტაციით ასაბუთებს დაწესებულება სტუდენტთა მისაღებად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რეალურ მზადყოფნას.

აკადემიის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შენობაში უკვე მიმდინარეობდა უსაფრთხოების სისტემების მოწესრიგების სამუშაოები. მისი განცხადებით, შესაბამისობის გეგმით გაწერილია ყველა პასუხისმგებელი პირი და ვადა, ხოლო სამუშაოების უმრავლესი ნაწილი უკვე ფაქტობრივად შესრულებულია, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცებას გარკვეული პროცედურული დრო სჭირდება, რის გამოც საბოლოო ვადად 2026 წლის 30 ნოემბერი განისაზღვრა. ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ დაწესებულება სრულ მზადყოფნაშია სტუდენტთა უსაფრთხო გარემოში მისაღებად. თავმჯდომარის მოადგილის დამაზუსტებელ კითხვაზე სტუდენტთა საერთო სარგებლობის სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით, დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სივრცე უკვე სრულად მოწყობილია და სამუშაოები დასრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, შეკითხვებით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს და ითხოვა დასაბუთება პირველი სტანდარტის 1.1.1.2 ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში შეფასებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ საექსპერტო დასკვნაში შეფასება წარმოდგენილი იყო ზოგადი, ორწინადადებიანი ფორმულირებით და ითხოვა იმ ობიექტური მტკიცებულებების დასახელება, რომელთა საფუძველზეც ინდიკატორი დადებითად შეფასდა, მაშინ როდესაც დაწესებულების დამტკიცებულ მისიაში არ იკვეთება არც საგანმანათლებლო საქმიანობის პროფილი (მონოპროფილური თუ მრავალპროფილური) და არც სხვა კოლეჯებისგან განმასხვავებელი როლი განათლების სისტემაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ მეფარიშვილმა, დაადასტურა, რომ მისიაში ინდივიდუალიზმი, გამორჩეულობა და მკაფიო პროფილი გამოკვეთილი არ იყო, თუმცა აღნიშნა, რომ შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა გასაუბრების შედეგები, აჭარის რეგიონის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები და დაწესებულების სამომავლო ხედვა, რის გამოც დოკუმენტი სტანდარტთან ნაკლებ წინააღმდეგობაში მყოფად მიიჩნიეს. საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ექსპერტთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს უშუალოდ

წარმოდგენილ დოკუმენტს და არა ზეპირ ინტერვიუებს, ხოლო ინდიკატორის მოთხოვნის შეუსრულებლობის პირობებში სრული შესაბამისობის მინიჭება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე, დასვა საკითხი პირველ და მეოთხე სტანდარტებს შორის არსებულ სისტემურ ჯაჭვურ აცდენაზე. კერძოდ, მეოთხე სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ფუნდამენტური ხარვეზები თითქმის ყველა ინდიკატორში (4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2, 4.1.2.3), რაც ეხებოდა პერსონალის ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაუმართაობას, რის გამოც დაწესებულებას განესაზღვრა ექვსთვიანი შესაბამისობის გეგმა. ამ ფონზე თავმჯდომარემ მოითხოვა განმარტება, თუ რა მეთოდოლოგიური ლოგიკით მიენიჭა პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტს (დაწესებულების მართვა პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ ფუნქციების მკაფიო გადანაწილებით) სრული შესაბამისობა, როდესაც მართვაში ჩართული პერსონალის ფუნქციურ-სამართლებრივი ბაზა აღიარებული იყო ხარვეზიანად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ტექნიკური მიზეზით სხდომიდან გათიშვის შემდეგ, საკითხზე განმარტება გააკეთა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ჯილდა აბაშიძემ. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი თანამშრომლის სამუშაო აღწერილობის არარსებობამ ჯაჭვურად გამოიწვია მეოთხე სტანდარტის რამდენიმე ინდიკატორის დახარვეზება, თუმცა უშუალოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში პასუხისმგებლობები გადანაწილებული იყო სწორად და ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთებოდა, რის გამოც პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაში შეფასდა. საბჭოს თავმჯდომარემ პასუხი მიიჩნია ურთიერთსაწინააღმდეგოდ და აღნიშნა, რომ შეუძლებელია მართვის სისტემა შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, როდესაც მისი განმახორციელებელი დაწესებულების სტრუქტურა, ადამიანური რესურსის ფუნქცია-მოვალეობები და სამართლებრივი სტატუსი ხარვეზიანია. ამასთან, ელენე კაკაბაძემ და საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა აღნიშნეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შიდა ნორმატიული აქტების ქრონოლოგიური აცდენები და სამართლებრივი კოლიზიები სტრატეგიულ ციკლებსა და მონიტორინგის ვადებში დასკვნაში არ იყო გამოკვეთილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სრულფასოვანი პოზიციის მოსმენა გადამწყვეტი იქნებოდა, რაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს, ნატალია ბარათელს მისცა სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების რიგ ქვესტანდარტებში იკვეთება გარკვეული დუბლირება (მათ შორის მეოთხე სტანდარტის საკადრო მოთხოვნებისა და მეხუთე სტანდარტის ინფრასტრუქტურული კომპონენტების გამეორება პროგრამულ ნაწილში), რაც სამომავლოდ გადახედვას საჭიროებს. ამასთან, მან განმარტა, რომ შშმ პირთათვის სანიტარული კვანძის შეუსაბამობა მხოლოდ მეორე სართულს ეხებოდა, ხოლო შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები დაწესებულების მიერ უკვე შესრულებულია. მისი თქმით, დამწყები ორგანიზაციისთვის საწყის ეტაპზე ხარვეზების არსებობა ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა აკადემიამ მყისიერად მოახდინა რეაგირება ექსპერტთა ყოველდღიურ მიგნებებზე, მოაწესრიგა საშტატო სტრუქტურა და ერთადერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებთან მისადაგების აუცილებლობა.

ტექნიკური შეფერხების აღმოფხვრისა და სხდომაზე დაბრუნების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თინათინ მეფარიშვილს, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება სთხოვა პირველ და მეოთხე სტანდარტებს შორის არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებაზე. კერძოდ,

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ შეფასდა პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაში, მაშინ როდესაც მასთან ორგანულ კავშირში მყოფი ადამიანური რესურსის კომპონენტი მეოთხე სტანდარტში ხარვეზიანად იქნა მიჩნეული. თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტზე მუშაობისას ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა ფუნქციების ზოგადი გააზრება, თუმცა დოკუმენტაციის სიღრმისეულმა ანალიზმა მეოთხე სტანდარტში გამოავლინა არსებითი აცდენები. საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ორი სტანდარტის მეთოდოლოგიური დაკავშირება და პირველი სტანდარტი მხოლოდ ზედაპირულად შეაფასა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას.

რაც შეეხება საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვას სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში არსებული სამართლებრივ-ქრონოლოგიური დარღვევების შესახებ, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო მისიაზე ორი თვით ადრე. თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მრავალჯერ გადამტკიცებული და შეცვლილი დოკუმენტაცია, რამაც გამოიწვია თარიღების ქრონოლოგიური აღრევა, ხოლო ექსპერტები შეფასებისას ემყარებოდნენ როგორც დოკუმენტებს, ისე გასაუბრების შედეგად მიღებულ ზეპირ განმარტებებს. ელენე კაკაბაძემ ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტიზა უნდა ეფუძნებოდეს ოფიციალურ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და არა დაწესებულების ზეპირ მოსაზრებებს.

რაც შეეხება 1.1.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით სტრატეგიული გეგმის შვიდწლიანი ციკლისა (2026–2032 წლები) და ხედვის ვადის (2031 წლამდე) ურთიერთაცდენას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ჯგუფს აღნიშნულ შეუსაბამობაზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, კიდევ ერთხელ მიმოიხილა ხედვისა და სტრატეგიული ციკლის ვადებს შორის არსებული ერთწლიანი სხვაობის მიზეზები. მისი განმარტებით, ხედვის ვადის 2031 წლით განსაზღვრა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საავტორიზაციო ვადის ამოწურვამდე და რეავტორიზაციის ეტაპამდე ერთი წლით ადრე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს გეგმურ მონიტორინგს, რათა დროულად გამოვლინდეს შესაძლო აცდენები და ხარვეზები. შესაბამისად, დაწესებულებას სწორედ ამ პერიოდში წარმოეშობა ვალდებულება, წინასწარ გადახედოს განვლილ შედეგებს, შეაფასოს არსებული ხედვა და დაიწყოს მუშაობა უფრო ამბიციურ, განახლებულ სტრატეგიულ მიზნებსა და ახალ ხედვაზე. მისი მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სისტემურ პრობლემას, რადგან 2031 წელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების შეჯამებისა და ანგარიშგებისათვის, ხოლო თავად სტრატეგია 2032 წლამდე გაგრძელდეს.

ნატალია ბარათელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს მიერ დასმული ყველა შეკითხვა იყო სრულად რელევანტური და არგუმენტირებული, თუმცა დაწესებულებას გააჩნია პროფესიონალი და ჩამოყალიბებული გუნდი საქმიანობის წარმატებით წარსამართავად. წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მეოთხე სტანდარტში გამოვლენილი ხარვეზების ჯაჭვი და დოკუმენტური შეუსაბამობები გამოიწვია ერთადერთმა ფაქტორმა – კერძოდ, პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტის თავდაპირველმა არყოფნამ საშტატო სტრუქტურაში, რის გამოც დოკუმენტაციიდან გამორჩენილი იყო მხოლოდ აღნიშნული პოზიციის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მისი მტკიცებით, აღნიშნული ტექნიკური ნაკლოვანების გამოსწორება სრულად აღმოფხვრის საკადრო მიმართულებით არსებულ გაურკვევლობას, რასაც საბჭოს წევრები თავადვე დარწმუნდებიან საქმეში არსებული დოკუმენტაციის დეტალური შესწავლისას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჯამა ადმინისტრაციული წარმოების მასალები და წარადგინა საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ განსახილველი საკითხი ეხება პირველად ავტორიზაციას, სადაც შეფასების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტაცია და არა მხარეთა ზეპირი დაპირებები. შესაბამისად, საქმეში არსებული შიდა ნორმატიული აქტების, ექსპერტთა დასკვნისა და სხდომაზე გამართული გამოკითხვის შედეგების ურთიერთშეჯერებით გამოიკვეთა, რომ ექსპერტთა მიერ პირველ სტანდარტში მინიჭებული შეფასება („შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“) მოკლებულია ობიექტურ საფუძველს და ვერ იქნება გაზიარებული, რადგან დაწესებულებაში ფუნდამენტურადაა დარღვეული სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ლოგიკა.

კერძოდ, თავმჯდომარემ მიუთითა სამ ძირითად გარემოებაზე: პირველი – დირექტორის №6 ბრძანებით სტრატეგიული (2026–2032 წლები) და 2026 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2026 წლის 26 მარტს, მაშინ როდესაც მათი განმსაზღვრელი ფუნდამენტური დოკუმენტი – მისია, ხედვა და ღირებულებები – დირექტორის №5 ბრძანებით დამტკიცდა ორი თვის შემდეგ, 2026 წლის 12 მაისს, რაც სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად შეუძლებელს ხდის სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებას ჯერ კიდევ არარსებული მისიის საფუძველზე; მეორე – დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტები (№4 და №6 ბრძანებები) პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან მონიტორინგის პერიოდულობასთან მიმართებით (მეთოდოლოგიით დადგენილი სამწლიანი ციკლი სტრატეგიული გეგმის დანართით განსაზღვრული ორწლიანი შეფასების რუკის წინააღმდეგ), ამასთან, შვიდწლიანი სტრატეგიული ციკლის პირობებში ხედვის ვადის 2031 წლით ამოწურვა არღვევს დაგეგმვის უწყვეტობას; მესამე – 1.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას არ გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი საგანმანათლებლო პროფილი და სისტემაში სხვა პროვაიდერებისაგან განმასხვავებელი ინდივიდუალური მახასიათებელი, ხოლო პირველ სტანდარტში მართვის ეფექტიანობის სრულ შესაბამისობაში შეფასება პირდაპირ ეწინააღმდეგება მეოთხე სტანდარტში გამოვლენილ სისტემურ საკადრო და ფუნქციურ ჩავარდნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ პირველი სტანდარტი – „კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება“ – გადაფასდეს და შეფასდეს, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება პირველი სტანდარტის ექსპერტთა შეფასების შეცვლის თაობაზე, კერძოდ, პირველი სტანდარტის შეფასების შეცვლას ფორმულირებით „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 42-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 45- ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის პროფესიულ აკადემიას (ს/კ: 445826937) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 14 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია